

სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	ბიბლია და ლიტერატურა The Bible and Literature
ავტორი (ავტორები)	გრივერ ფარულავა
ლექტორი (ლექტორები)	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გრივერ ფარულავა, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ფილოლოგიის მიმართულება. მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, #1. ტელ: 2-29-03-01; ბინისა; ირ. აბაშიძის #14, ტელ: 2-23-29-43. საკონტაქტო დრო: ოთხშაბათი, 12-17 სთ; ხუთშაბათი, 12-17 სთ.
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის არჩევითი კურსი
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	ერთი სემესტრი (15 კვირა)
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	5 კრედიტი, 125 საათი საკონტაქტო 33 საათი მათ შორის: სალექციო – 15 საათი ჯგუფური მუშაობა – 15 საათი დასკვნითი გამოცდის ჩაბარება – 3 საათი დამოუკიდებელი მუშაობის 92 საათი მათ შორის: შუალედური გამოცდისთვის მომზადება – 4 დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება – 9 ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 79 სთ.
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის სახელდებაც, “ბიბლია – ადამიანი – ლიტერატურა”, აჩვენებს მის მიზანს: ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტს, ერთი მხრივ, გაუფართოვოს თავისი პროფესიის თვალსაწიერი, ხოლო, მეორე მხრივ, გაუღრმავოს იმის ცოდნა, რაც მას მაგისტრატურაში მხოლოდ ფრაგმენტულად შეუთვისებია. კურსი სამნაწილეა, მაგრამ სწავლება იმგვარად წარიმართება, რაც სამივე მონაკვეთს ორგანულ მთლიანობად წარმოგვიდგენს. მთლიანობის საფუძველი კი ბიბლიაა, “წიგნთა-წიგნად” რომ იწოდება ოდითგანვე. ამ წიგნში ადამიანი უზენაესის “ხატად და მსგავსად”, ყველა ქმნილების გვირგვინადაა დასახული; ამ თვალთახედვას ლოგიკურად მიყვართ ადამიანის პრობლემასთან; ხოლო ადამიანის ადამიანურობა ყველაზე შთამბეჭდავად იმის მიხედვით გაცხადდება, რასაც იგი კულტურის და ხელოვნების, მათ შორის – სიტყვიერი ხელოვნების სფეროში ქმნის. ბიბლიის სამყაროდან გამომავალ ამ ტენდენციაზე, ვითარცა ღერძზე, იქნება კონცენტრირებული სწავლება და სწავლა. უნდა მოვიხმოთ არა მხოლოდ სასულიერო მწერლობა, არამედ საერო ლიტერატურის ნიმუშები, არამარტო ქართული, უცხოურიც, ანტიკური ეპოქისა და ახალი დროისაც. ძველი და ახალი აღთქმის მსოფლმხედველობრივი სამყაროს ამ

	<p>ასპექტს გვერდში უნდა დაუდგეს ანთროპოლოგისა და ლიტერატურათმცოდნეობის სათანადო ცოდნა.</p> <p>ყოველივე ეს საიმედო ფუნდამენტი იქნება მაღალ-ხარისხოვანი საკვალიფიკაციო ნაშრომის შესაქმნელად.</p>
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	წინაპირობის გარეშე
სასწავლო კურსის ფორმატი	კვირაში ტარდება ორი ლექცია და ერთი სამუშაო ჯგუფი. ლექციაზე დოქტორანტი იღებს კარგად არგუმენტირებულ მეცნიერულ განსჯათა მწყობრ სისტემას დასმული საკითხის შესახებ; იღებს მითითებებს იმის შესახებ, რა უნდა იყოს გამორჩეული ყურადღების საგანი, რა მეთოდებით უნდა იხელმძღვანელონ. სამუშაო ჯგუფისთვის მას ევალება პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება.
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი
შეფასება	<p>დასწრება – 10%</p> <p>სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა – 10% (ზეპირი გამოკითხვა)</p> <p>პრეზენტაცია – 20 %</p> <p>კოლოკვიუმი – 10% (10X2)=20%</p> <p>დასკვნითი გამოცდა – 40%</p> <p>საბოლოო შეფასება – 100%</p>
გამოცდაზე დაშვების წინაპირობა	სემესტრის მანძილზე აქტივობით დაგროვილი მინიმუმ 11 ქულა
სწავლებისა და სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების, ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ძეგლების ისტორიის ცოდნა.</p> <p>დასკვნის უნარი:</p> <p>კურსი დოქტორანტს გაულრმავეებს და დაუხვეწავს სიტყვიერი ხელოვნების, ლიტერატურის, მსოფლმხედველობრივი საფუძვლებისა და ესთეტიკური ფორმების ანალიზის უნარს. ამ უნარის გამოკვეთას კი დიდად შეუწყობს ხელს ის გარემოება, რომ ანალიზის საგანი იქნება უცხოურ ლიტერატურათა ნიმუშებიც.</p> <p>ღირებულებები:</p> <p>დოქტორანტი გააცნობიერებს, რომ მისთვის მიწოდებული მასალა ემსახურება ადამიანის სულიერი სრულქმნილების საქმეს, ხოლო ადამიანის შინაგანი სამყაროს სრულქმნილების საუკეთესო საშუალება არის ხელოვნება.</p>
სავალდებულო ლიტერატურა	<ol style="list-style-type: none"> 1. რ. სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, 2000. 2. ელ. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, 2009. 3. ზ. კვიციანიძე, საუბრები ბიბლიაზე, 1989. იგივე წიგნი სათაურით – ძველი აღთქმის წუთისოფელი, 2003. 4. გ. ფარულავა, ადამიანი ხატი და მსგავსი ღვთისა, ჟურ. "საგურამო", 2002, #3. 5. გ. ფარულავა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ

	<p>პროზაში, 1982.</p> <ol style="list-style-type: none"> 6. გ. ფარულავა, ქართული ჰაგიოგრაფია, კრებ. “ნათელი ქრისტესი; საქართველო”, 2003. 7. გ. ფარულავა, “სიბრძნის დარგი საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი”, ჟურნ. “ქართული ლიტერატურა”, 1998, #2. 8. გ. ფარულავა, უნივერსუმის მთლიანობისა და სილამაზის სადიდებელი, კრებ. “რუსთველოლოგია”, #5, 2008-2009. 9. ერნსტ კასირერი, რა არის ადამიანი (ლ. რამიშვილის თარგმანი), 1983. 10. История всемирной литературы (В девяти томах), т. I, 1983. 11. Меир Вайс, Библия и современное литературоведение, М., 2001. 12. Эрих Ауэрбах, Мимесис, М., 1976. 13. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977. 14. Пауль Тиллих, Теология культуры, М. 1995. <p>შენიშვნა: უცხოურ ენებზე შექმნილი ტექსტები, რომლებიც სავალდებულო ლიტერატურის სიაშია, დოქტორანტს მიეწოდება ქართული თარგმანით.</p>
<p>დამატებითი ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. კ. კველიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1981. 2. რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, 1992. 3. ელ. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ვეფხისტყაოსანში, 1999. 4. გ. ფარულავა, რელიგიური და ეროვნული, ჟურნ. “ცისკარი”, 1995, #7-8. 5. გ. ფარულავა, ქართული ენა, ლიტერატურა და ქართული ეთნოგენეტიკა, 2011 (კომპიუტერზე დაბეჭდილი ტექსტი). 6. მ. გიგინეიშვილის ნარკვევი, რომელიც წინ უძღვის მის მიერვე შედგენილ კრებულს – “დიდება შენდა!” 2008. 7. კ. ბერგაძე, ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები, 2009. 8. Карл Ясперс, Смысл и назначение истории, М. 1994. 9. Weidner Daniel, Bibel und Literatur um 1800, Wilhelm Fink Verlag, Munchen, 2011. 10. Ричард Нибур и Райнольд Нибур, Христос и культура, М. 1996. 11. Karin Schopfin, Die Bibel in der Weltliteratur, Tubingen, 2001.
<p>დამატებითი ინფორმაცია</p>	<p>კურსის შესწავლისათვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის ერთი ნაწილი ხელმისაწვდომია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. სხვა ნაშრომები კი დოქტორანტს მიეწოდება ამონაბეჭდების სახით.</p>

დანართი

#	ლექციის/სემინარის თემა	ლიტერატურა
ლექცია 1	ბიბლიის არსი და მსოფლმხედველობრივი საფუძვლები; ბიბლიის კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა. ძველი აღთქმა.	ზ. კიკნაძე, საუბრები ბიბლიაზე, 1989, გვ. 3-10. С. Аверинцев, Древнееврейская литература. История всемирной л-ты (в девять томах), т. I, М. 1983, с. 274-277; 501-503. ქართული თარგმანი, გვ. 1-5. Мейр Вайс, Библия и современное литературоведение, М. 2001. с. 40-52. ქართული თარგმანი, გვ. 1-8.
ლექცია 2	ეპიურ-ქრონიკალური ტექსტები.	С.Аверинцев, Древнееврейская литература, История всем. литературы, т. I, с. 278-284. ქართული თარგმანი, გვ. 1-7. ზურაბ კიკნაძე, საუბრები ბიბლიაზე, გვ. 11-18.
სამუშაო ჯგუფი 1	სემინარზე ლექციაზე მოსმენილ და მითითებული ლიტერატურით გაღრმავებულ საკითხებზე თვითონ დოქტორანტი საუბრობს.	
ლექცია 3	წინასწარმეტყველური ლიტერატურა.	ს. ავერინცევის დასახელებული ნაშრომი დასახელებულ წიგნში, გვ. 284-287. ქართული თარგმანი, გვ. 8-14. ზურაბ კიკნაძე, საუბრები ბიბლიაზე, გვ. 110-118.
ლექცია 4	ლირიკული ჟანრები.	ს. ავერინცევის დასახელებული ნაშრომი დასახელებულ წიგნში, გვ. 286-290. ქართული თარგმანი, გვ.15-22.
სამუშაო ჯგუფი 2		
ლექცია 5-6	სიბრძნისმეტყველური ლიტერატურა.	ს. ავერინცევის დასახელებული ნაშრომი დასახელებულ წიგნში, გვ. 290-299. ქართული თარგმანი, გვ.23-36.
სამუშაო ჯგუფი 3		
ლექცია 7-8	ძველი აღთქმისა და ანტიკური ლიტერატურის ანთროპოლოგიურ-ლიტერატურულ პრინციპთა	Эрих Ауэрбах, Мимесис, М. 1976, с. 23-44. შემოკლებული ქართული თარგმანი, გვ. 1-18.

	შედარებითი ანალიზი.	
სამუშაო ჯგუფი 4		
ლექცია 9	ახალი აღთქმა.	ს. ავერინცევი, ადრექრისტიანული ლიტერატურის სათავეები და განვითარება. История всемирной литературы, т. I, с. 501-516. შემოკლებული ქართული თარგმანი, გვ. 55-64.
ლექცია 10	ახალი აღთქმისა და ანტიკური ლიტერატურის ანთროპოლოგიურ-ლიტერატურულ პრინციპების შედარებითი ანალიზი.	ერის აუერბახის დასახელებული წიგნი, გვ. 60-68. ქართული თარგმანი, გვ. 14-18.
სამუშაო ჯგუფი 5		
ლექცია 11-12	ადამიანის დამცირებისა და ამალღების, შიშისა და იმედის, თავისუფლების და ღირსეულობის პრინციპები ახალ აღთქმაში.	С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М. 1977, с. 57-83. ქართული თარგმანი (ქეთევან ჯერვალიძისა), გაზეთი “კალმასობა”, 2004, #2,3,5,6; შემოკლებული ვარიანტი, გვ. 1-17.
სამუშაო ჯგუფი 6		
ლექცია 13	ადამიანი –ხატი და მსგავსი ღვთისა.	გ. ფარულავა, ადამიანი ხატი და მსგავსი ღვთისა, ჟ. “საგურამო”, 2002, #3, გვ. 38-49.
ლექცია 14	ადამიანის რაობის არსი.	ერნსტ კასირერი, რა არის ადამიანი (გერმანულიდან თარგმნა ლამარა რამიშვილმა), 1983, გვ. 24-30, 39-41. გ. ფარულავა, ადამიანის არსებობის საზრისის ქრისტოლოგიური გაგება (ნაბეჭდი ტექსტი), გვ. 1-8. ლ. გრიგოლაშვილი, ქრისტოლოგიური შეხედულებები სამყაროსა და ადამიანის არსის შესახებ, წიგნში “დავით აღმაშენებლის “გალობანი სინანულისანი”, 2005, გვ. 39-46.
სამუშაო		

ჯგუფი 7		
ლექცია 15	ბიბლია და კულტურა	<p>Пауль Тиллих, Теологизм культуры, М. 1995, с. 264-271.</p> <p>Ричард Нибур и Райнхольд Нибур, Христос и культура, М. 1996, с. 103-120.</p> <p>შემოკლებული ქართული თარგმანი, გვ. 1-9.</p> <p>რ. სირაძე, ბიბლიური საფუძვლები ქართული კულტურისა, წიგნში ქართული კულტურის საფუძვლები, 2000, გვ. 87-107.</p>
ლექცია 16	მხატვრული ლიტერატურის არსი და ესთეტიკური კრედო.	გ. ფარულავა, “სიბრძნის დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი”, ჟ. “ქართული ლიტერატურა”, 1998, #2, გვ. 3-24.
სამუშაო ჯგუფი 8		
ლექცია 17	ქრისტიანული ხელოვნების და ლიტერატურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები, გამოსახვის ფორმები და სტილი.	გ. ფარულავა, ქრისტიანული ხელოვნების ძირითადი პრინციპები, წიგნში – მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, 1982, გვ. 38-57.
ლექცია 18	ადამიანი ბიბლიური მსოფლმხედვისა და ფილოსოფიის სარკეში.	Карл Ясперс, Смысл и назначение истории, М. 1994, с. 442-453. ქართული თარგმანი, გვ. 1-12.
სამუშაო ჯგუფი 9		
ლექცია 19	რელიგიური და ეროვნული.	<p>ნ. ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა (მთარგმნელი ზ. კიკნაძე), თბ. 1993, გვ. 15-21, 29-31, 39-42, 47-50.</p> <p>გ. ფარულავა, რელიგიური და ეროვნული, ჟ. “ცისკარი”, 1995, #7-8, გვ.171-177.</p>
ლექცია 20	ქართული ენა, ლიტერატურა და ეროვნული ვინაობა.	<p>გ. ფარულავა, ქართული ენა, ლიტერატურა და ქართული ეთნოგენეტიკი (ნაბეჭდი ტექსტი), გვ. 1-4.</p> <p>გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, 2000, გვ. 6-15.</p> <p>ვინფრიდ ბოედერი, ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში (გერმანულიდან თარგმნა რევაზ კიკნაძემ), გვ. 4-12.</p>

სამუშაო ჯგუფი 10		
ლექცია 21	ბიბლია და ქართული სასულიერო მწერლობა; ჰაგიოგრაფია, “წამებანი”.	რ. სირაძე, ქართული ჰაგიოგრაფია, 1987, გვ.3-10. გ. ფარულავა, ქართული ჰაგიოგრაფია, კრებ. “ნათელი ქრისტესი. საქართველო”, გვ. 651-57. იგივე კრ. “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში” (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), ტ. III, გვ. 21-27.
ლექცია 22	ჰაგიოგრაფია, “ცხოვრებანი”; ჰიმნოგრაფია	გ. ფარულავას დასახელებული ნარკვევი, გვ. 657-663. ლ. გრიგალაშვილი, ქართული ჰიმნოგრაფია, ჟ. “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში”, 1983, #1, გვ. 86- 102.
სამუშაო ჯგუფი 11		
ლექცია 23	ბიბლია და ვეფხისტყაოსანი (რამდენიმე ასპექტი).	კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1981, გვ. 200-204. ელ. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის იდეურ- მსოფლმხედველობითი სამყარო, 2009, გვ. 259-270. გ. ფარულავა, უნივერსუმის მთლიანობისა და სილამაზის სადიდებელი, კრებ. “რუსთველოლოგია”, 2008-2009, #5, გვ. 91- 101.
ლექცია 24	რწმენის, ვითარცა ყოფნის სიმამაცის, ბიბლიური კონცეფცია.	Пауль Тиллих, Мужество быть, сб. "Теология культуры", М. 1995, с. 112-119; ქართული თარგმანი, გვ. 1-10. ყოფნის სიმამაცის თემა დ.გურამაშვილის, ნ.ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ მეგრელიშვილის შემოქმედებაში. გ. ფარულავა, დავით გურამიშვილის მსოფლმეგრძნებისათვის, კრებ. “დავით გურამიშვილი – 300”, 2006, გვ. 109-112; მისივე, “პოეტი – მხედარი – ზვარაკი”, წიგნში გრიგოლ მეგრელიშვილი, ბდის მდინარე, გვ.

		297-304.
სამუშაო ჯგუფი 12		
ლექცია 25	<p>ა. “დავითიანი” და ბიბლია.</p> <p>ბ. ბიბლიური მოტივები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში.</p>	<p>ა. რ. სირაძე, “დავითიანი” და ბიბლია, კრებ. “ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა”, I, 1992, გვ. 160-173.</p> <p>ბ. გ. კალანდარიშვილი, ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაცია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში, წიგნში – ტრადიცია და თანამედროვეობა ახალ ქართულ ლიტერატურაში, 2006, გვ. 21-36.</p>
ლექცია 26	ბიბლიური მსოფლგანცდის საკითხისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში (“განდეგილი” და “ოთარაანთ ქვრივი”)	<p>გ. კალანდარიშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 157-16.</p> <p>გ. ფარულავა, ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ზნეობრივი პრინციპების სათავეები (ნაბეჭდი ტექსტი), გვ. 1-9.</p>
სამუშაო ჯგუფი 13		
ლექცია 27	აკაკი წერეთლის ქრისტოლოგიური თვალთახედვისათვის	გ. ფარულავა, აკაკის “სულიკო” და “ქებათა ქება” (მსოფლმხედველობრივი ანალიზი), კრებ. “აკაკის კრებული”, II, 2005, გვ. 259-268.
ლექცია 28	ბიბლიური მოტივები უცხოურ ლიტერატურულ სამყაროში (ფრაგმენტები.)	<p>ა. მ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილ კრებულში “დიდება შენდა!” – მიმოხილვა (“მთარგმნელისაგან”), გვ. 7-21.</p> <p>ბ. მ. გიგინეიშვილისავე “ფლობერის ორი მოთხრობა”, წინასიტყვაობა წიგნისა – გუსტავ ფლობერი, ჰეროდია, 1968, გვ. 5-12.</p>
სამუშაო ჯგუფი 14		
ლექცია 29	ა. ბიბლიური მოტივები გერმანულ ლიტერატურაში (ფრაგმენტები).	კ. ბრეგაძე, მზიანი ღამისა და ღამის მზის სიმბოლო რუსთაველის “ვეფხისტყაოსანსა” და ნოვალისის “ღამის ჰიმნებში”, წიგნში, ლიტერატურული და

		<p>ენისფილოსოფიური ნარკვევები, 2009, გვ. 105-113. მისივე, ნოვალისის რომანი “ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი” ბიბლიური არქეტიპებისა და ესქატოლოგიის თვალსაზრისით, იმავე წიგნში, გვ. 57-62.</p> <p>Weidner Daniel, Die Schrift: Biblische Intertextualität und "Sakularisierung", in Bibel und Literatur um 1800, Wilhelm Fink Verlag, München, 2011, s. 339-346.</p> <p>დანიელ ვაიდნერი, ტექსტის ციტირება: ბიბლიის ინტერტექსტუალური მნიშვნელობა, წიგნში - “ბიბლია და ლიტერატურა 1800-იანი წლების გარშემო”, მიუნხენი, 2011, გვ. 339-346 (ქართული თარგმანი ი. ხვედელიძისა), გვ. 1-8.</p>
ლექცია 30	ბიბლიური მსოფლგანცდისათვის რუსულ ლირიკულ პოეზიაში (ფრაგმენტები).	გ. ფარულავა, ბიბლიური მსოფლგანცდისათვის თ. ტიუტჩევისა და ალ. ბლოკის ლირიკაში (კომპიუტერზე დაბეჭდილი ტექსტი), გვ. 1-9.
სამუშაო ჯგუფი 15	შეჯამება და ძირითადი დასკვნები	